



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 156

2012 წლის 27 ივნისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული
ქონების შპს „Golf Development Georgia“-სათვის პირდაპირი
მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის 21 ივნისის №01-10/2987 წერილის გათვალისწინებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5, მე-8 და მე-12 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „Golf Development Georgia“-ს (ს/კ 445410993) ნარჩენ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ჩოლოქის დასახლებაში მდებარე 525 033 კვ. მეტრი (ს/კ 20.42.03.282), 721 677 კვ. მეტრი (ს/კ 20.51.02.058), 1 672 526 კვ. მეტრი (ს/კ 20.51.01.070) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და ქობულეთის მუნიციპალიტეტის, მდ. ოჩხამურის მიმდებარედ 130 764 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.51.01.004).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნასყიდობის საფასურის გადახდა;

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საწვრთნელი გოლფის მოედნის მშენებლობის დაწყება და 12 თვის ვადაში დასრულება;

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში არანაკლებ 40 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საჯარო გოლფის მოედნის მშენებლობის დაწყება და 18 თვის ვადაში დასრულება;

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში არანაკლებ 4 ჰა მიწის ნაკვეთზე ფეხბურთის საწვრთნელი ბაზის მშენებლობის დაწყება. ხელშეკრულების

გაფორმებიდან 12 თვის ვადაში ერთი სტადიონის მშენებლობის დასრულება, ხოლო 24 თვის ვადაში მთლიანი კომპლექსის (არანაკლებ 4 სტადიონი) დასრულება;

ე) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში არანაკლებ 2 ჰა მიწის ნაკვეთზე ჩოგბურთის მოედნის მშენებლობის დაწყება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში ერთი მოედნის (კორტის) მშენებლობის დასრულება, ხოლო 24 თვის ვადაში მთლიანი კომპლექსის (არანაკლებ 6 ერთეული კორტი) დასრულება;

ვ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში არანაკლებ 84 ჰა მიწის ნაკვეთზე საჩემპიონო 18 ლუნკიანი გოლფის მოედნის მშენებლობის დაწყება და 36 თვის ვადაში დასრულება;

ზ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გოლფ-კლუბის შენობის მშენებლობის დაწყება და 36 თვის ვადაში დასრულება;

თ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე 1000 ადგილიანი საკონფერენციო დარბაზის მშენებლობის დაწყება და 36 თვის ვადაში დასრულება;

ი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში არანაკლებ 3 ჰა მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 50 ნომრიანი ვილის ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის დაწყება და 36 თვის ვადაში დასრულება;

კ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 300 ნომრიანი, არანაკლებ 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის დაწყება და 30 თვის ვადაში დასრულება, სასტუმრო კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მუდმივად 10 წლის ვადით, არანაკლებ საქართველოს 40 მოქალაქის დასაქმება;

ლ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში არანაკლებ 8 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 200 ადგილიანი თანამედროვე ტიპის 2 რესტორნისა და გასართობი კომპლექსის მშენებლობის დაწყება და 24 თვის ვადაში დასრულება;

მ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში არანაკლებ 2 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 2500 კვ.მ-ზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობის დაწყება და 24 თვის ვადაში დასრულება;

ნ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში 100 ჰა მიწის ნაკვეთზე პარკების, სასეირნო ბილიკების, ველოსიპედის ბილიკების, სარბენი ბილიკების, მწვანე ზოლის, დასასვენებელი ზონების, გზების, პარკინგების, წყალსაცავების, და წყლის არხების მოწყობა;

ო) ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში, მუდმივად არანაკლებ 20 წლის ვადით 250 საქართველოს მოქალაქის დასაქმება;

3) საპრივატიზებო პროცესების შესრულების მიზნით წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 ევროს ინვესტიციის განხორციელება, ხოლო „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით არანაკლებ 8 000 000 ევროს ინვესტიციის განხორციელება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.



ლევან ვარშალომიძე

ნასყიდობის ხელშეკრულება

ბათუმი, საქართველო

27 ივნისი 2012 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში - „გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გელა ცინცაძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 27 ივნისის N156 ბრძანებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 27 ივნისის N165 ბრძანების თანახმად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე ყიდის, ხოლო შპს „Golf Development Georgia“ (იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ. N5, ბინა 42, ს/კ 445410993, რეგისტრირებული 05.06.2012 წ. ბათუმის რეგიონ. ცენტრის მიერ), შემდგომში - „მყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი აბაშიძის სახით, მოქმედი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „Golf Development Georgia“-ს შესახებ ამონაწერის საფუძველზე, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად ყიდულობს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ჩოლოქის დასახლებაში მდებარე 525 033 კვმ (ს/კ 20.42.03.282), 721 677 კვ.მ (ს/კ 20.51.02.058), 1 672 526 კვ.მ (ს/კ 20.51.01.070) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს და ქობულეთის მუნიციპალიტეტის, მდ. ოჩხამურის მიმდებარედ 130 764 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 20.51.01.004), შემდგომში „ქონება“. „ქონებაზე“ საკუთრების უფლება დასტურდება NN20.51.01.004; 20.51.01.070; 20.51.02.058; 20.42.03.282 ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან (წინამდებარე ხელშეკრულების დანართი).

1.2. გასაყიდი „ქონება“ არ არის დატვირთული მესამე პირთა უფლებებით, აკრძალვა გარიგებების დადებასთან დაკავშირებით არ არსებობს თანახმად NN20.51.01.004; 20.51.01.070; 20.51.02.058; 20.42.03.282 ამონაწერებისა საჯარო რეესტრიდან.

1.3. „ქონების“ ნასყიდობის გარიგების არსებითი პირობაა (წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 1.1.) უძრავი ქონების შემდეგი ინდივიდუალურად განსაზღვრული მახასიათებლები:

ა) სარეგისტრაციო ზონა: ქობულეთი, კოდი: 20;

- სექტორი ფიჭვნარი, კოდი: 51,;
- კვარტალი 01, ნაკვეთი №004;

- სარეგისტრაციო №20.51.01.004;
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- ფართობი 130 764 (დაზუსტებული) კვ.მ;
- მისამართი: ქობულეთი, მს. ოჩხამურის მიმდებარედ;
- მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

ბ) სარეგისტრაციო ზონა: ქობულეთი, კოდი: 20;

- სექტორი ფიჭვნარი, კოდი: 51,;
- კვარტალი 01, ნაკვეთი №070;
- სარეგისტრაციო №20.51.01.070;
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- ფართობი 1 672 526 (დაზუსტებული) კვ.მ;
- მისამართი: ქობულეთი, ჩოლოქის დასახლება;
- მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

გ) სარეგისტრაციო ზონა: ქობულეთი, კოდი: 20;

- სექტორი ფიჭვნარი, კოდი: 51,;
- კვარტალი 02, ნაკვეთი №058;
- სარეგისტრაციო №20.51.02.058;
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- ფართობი 721 677 (დაზუსტებული) კვ.მ;
- მისამართი: ქობულეთი, ჩოლოქის დასახლება;
- მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

დ) სარეგისტრაციო ზონა: ქობულეთი, კოდი: 20;

- სექტორი ქ. ქობულეთი, კოდი: 42;
- კვარტალი 03, ნაკვეთი №282;
- სარეგისტრაციო №20.42.03.282;
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- ფართობი 525 033 (დაზუსტებული) კვ.მ;
- მისამართი: ქობულეთი, დასახლება ჩოლოქის;
- მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

1.4 ქონების ღირებულება შეადგენს 44 591 000 (ორმოცდაოთხი მილიონ ხუთასოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარს.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. „მყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ქონების ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველმა გადახდა უნდა განახორციელოს გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ქობულეთი) – 200122900, მიმღების ბანკი; სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – 220101222, სახაზინო კოდი 300713389.

2.3. „მყიდველმა“ 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ „გამყიდველს“ დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს საბანკო ანგარიშებზე თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 3. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

3.1. „გამყიდველი“ ვალდებულია:

ა) მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა გააუქმოს ქონებასთან დაკავშირებით მესამე მხარეთა ნებისმიერი პრეტენზია/მოთხოვნა (მათ შორის საიჯარო უფლებები, უზრუნველყოფა და ა.შ.), იმგვარად რომ ქონება თავისუფალი იყოს ნებისმიერი და ყოველგვარი ვალდებულებისგან მყიდველზე ხაკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტისათვის;

ბ) მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში და იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი გამყიდველს წარუდგენს შესაბამის აუდიტორულ დასკვნას, გაუზიაროს „მყიდველს“ ოფიციალური შეტყობინება და დაადასტუროს, რომ მყიდველმა სრულად, სათანადოდ და დროულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს ყველა სახის ქმედება და მიიღოს შესაბამისი ზომები წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

3.2. „მყიდველი“ ვალდებულია:

ა) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ნასყიდობის ფასი და მიაწოდოს გამყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4 ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს და 12 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საწვრთნელი გოლფის მოედნის მშენებლობა;

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში დაიწყოს და 18 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 40 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საჯარო გოლფის მოედნის მშენებლობა;

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 4 ჰა მიწის ნაკვეთზე ფეხბურთის საწვრთნელი ბაზის მშენებლობა. ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაასრულოს ერთი სტადიონის მშენებლობა, ხოლო 24 თვის ვადაში დაასრულოს მთლიანი კომპლექსი (არანაკლებ 4 სტადიონი);

ე) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 2 ჰა მიწის ნაკვეთზე ჩოგბურთის მოედნის მშენებლობა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაასრულოს ერთი მოედნის (კორტის) მშენებლობა, ხოლო 24 თვის ვადაში დაასრულოს მთლიანი კომპლექსი (არანაკლებ 6 ერთეული კორტი);

ვ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 84 ჰა მიწის ნაკვეთზე საჩემპიონო 18 ლუნკიანი გოლფის მოედნის მშენებლობა და 36 თვის ვადაში დაასრულოს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გოლფ-კლუბის შენობის მშენებლობა;

თ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე 1000 ადგილიანი საკონფერენციო დარბაზის მშენებლობა;

ი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 3 ჰა მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 50 ნომრიანი ვილის ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა;

კ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაიწყოს და 30 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 300 ნომრიანი, არანაკლებ 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა; სასტუმრო კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მუდმივად 10 წლის ვადით, დაასაქმოს არანაკლებ საქართველოს 40 მოქალაქე;

ლ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაიწყოს და 24 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 8 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 200 ადგილიანი თანამედროვე ტიპის 2 რესტორნისა და გასართობი კომპლექსის მშენებლობა;

მ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაიწყოს და 24 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 2 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 2500 კვ.მ-ზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობა;

ნ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში მოაწყოს 100 ჰა მიწის ნაკვეთზე პარკები, სასეირნო ბილიკები, ველოსიპედის ბილიკები, სარბენი ბილიკები, მწვანე ზოლი, დასასვენებელი ზონები, გზები, პარკინგები, წყალსაცავები და წყლის არხები;

ო) ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში, მუდმივად არანაკლებ 20 წლის ვადით დაასაქმოს 250 საქართველოს მოქალაქე;

პ) საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 10 000 000 ევროს ინვესტიცია, ხოლო „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 8 000 000 ევროს ინვესტიცია;

ჟ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია „გამყიდველს“;

რ) სამუშაოების შესრულების ვადის დასრულების მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს აუდიტორული კომპანიის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტს;

ს) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შესაფასებლად სამინისტროსთან შეთანხმებით შეარჩიოს და დაიქირაოს აუდიტორული კომპანია, რომლის დასკვნა მისაღები უნდა იყოს ხელშეკრულების ორივე მხარისთვის;

ტ) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს ყველა სახის ქმედება და მიიღოს შესაბამისი ზომები წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

3.3. მყიდველის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, მას ენიჭება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებასთან დაკავშირებული მესაკუთრის ყველა უფლება და მოვალეობა ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.4. მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. თუ „მყიდველი“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ „გამყიდველი“ უგზავნის მყიდველს ვალდებულების შესრულების შესახებ წერილობით მოთხოვნას შესრულების აუცილებელი ვადის მითითებით და მყიდველი გამყიდველს ჯარიმის სახით უხდის:

ა) ქონების ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ყოველ დარღვევაზე ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2. გამყიდველის მიერ მყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად მიცემული დამატებითი ვადის ამოწურვის შემდეგ „მყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გაგრძელების ან/და „მყიდველის“ მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. აღნიშნულ შემთხვევაში, მყიდველს არ აუნაზღაურდება გაწეული ხარჯები და გადახდილი ქონების საზღაური.

მუხლი 5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე (ხელშეკრულების 3.1. მუხლის „ბ.“ ქვეპუნქტი) მყიდველს უფლება არ აქვს გამყიდველთან შეთანხმების გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს ქონება. ამასთან მყიდველი პასუხისმგებელია ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

5.2. თუ მყიდველი აპირებს დატვირთოს ქონება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ასაღები კრედიტის უზრუნველსაყოფად, სამინისტრო არ არის უფლებამოსილი მყიდველს დაუსაბუთებლად განუცხადოს უარი ქონების დატვირთვაზე.

5.3. საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, მყიდველი უფლებამოსილია სამინისტროსთან შეთანხმებით - „ქონება“ გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო პირდაპირი მყიდვის ხელშეკრულებით. სამინისტრო არ არის უფლებამოსილი განაცხადოს უარი ქონების გასხვისებაზე, თუ გასხვისება ხდება იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არადროული შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუკი აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა ბუნებრივი ან ხელოვნური ხასიათის დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედებით, რომელთა დადგომაც მხარეებს არ შეუძლიათ განჭვრიტონ რომელთა შედეგიც მხარეებს არ შეუძლიათ აღკვეთონ მხარეებისათვის ხელმისაწვდომი გონივრული საშუალებებით (ფორს-მაჟორული გარემოება).

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება გარემოება, რომელიც სცილდება შესაბამისად „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს (აგრეთვე ორივე მხარის კონტროლის ფარგლებს) და რომლის დადგომა შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად აღიარებულია (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება) ომი და საომარი მოქმედებები ომის ფორმალური გამოცხადების გარეშე, აჯანყება/სამხედრო გადატრიალება ან სამოქალაქო არეულობები, ეკონომიკური ბლოკადა, მიწისძვრა, ხანძარი, აფეთქება, ტორნადო/ქარიშხალი, წყალდიდობა ან ცუნამი, გრუნტის მოძრაობა/ჩავარდნა სამშენებლო ტერიტორიაზე, სხვა სტიქიური უბედურებები. მყიდველისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან სხვა აღსასრულებლად აუცილებელი აქტების გამოცემა, რომელიც შეუძლებელს ხდის საინვესტიციო პროექტის განხორციელებას მთლიანად ან ნაწილობრივ.

6.3. მხარემ რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა ასეთი გარემოებების დადგომიდან (ან დღიდან, როცა მხარისათვის ცნობილი გახდა მისი წარმოშობის შესახებ), ვალდებულია აუწყოს მეორე მხარეს ამ გარემოების შესახებ შესაბამისი აღწერით, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაციით. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეტყობინება არ იქნება გაგზავნილი

მითითებულ ვადაში, მხარე, რომელმაც დაარღვია ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვერ შეძლებს გამოიყენოს - ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

6.4. მხარე, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოებები, თავისი ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულების მიხედვით წყვეტს ასეთი გარემოებების მოქმედებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის ვადით. ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დღიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის ათვლა გრძელდება.

მუხლი 7. სხვა დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით. ასეთი ცვლილებები და დამატებები ფორმდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულების წერილობითი დამატებითი შეთანხმებები და ხელმოწერილი უნდა იქნეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

7.2 თუკი წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა ან დებულება ჩაითვლება უკანონოდ, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობა და დებულება ინარჩუნებს სრულ ძალას, ხოლო ასეთი უკანონო პირობა ან დებულება (იმისდა მიხედვით, რას აქვს ადგილი) მისადაგებული იქნება შეცვლილ გარემოებებთან, რათა იგი გახდეს ეფექტური, შესრულებადი და წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა განზრახვების ამსახველი.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში მხარეებს შორის მიღწეულ ყველა შეთანხმების სრულ და ამომწურავ რეზიუმეს და ძალაში შესვლის შემდეგ შეცვლის ყველა და ნებისმიერ ადრინდელ შეთანხმებას მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში.

7.4 ნებისმიერი უწყება ან შეტყობინება, რომელიც ეგზავნება წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს, ჩაითვლება სათანადოდ გადაცემულად, თუკი ისინი გაგზავნილია დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ჩაბარებულია დადგენილი წესის დაცვით შემდეგ მისამართებზე:

– "გამყიდველი": აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119;

– "მყიდველი": შპს "Golf Development Georgia" (იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ. N5, ბინა 42, ს/კ 445410993);

თითოეული მხარე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შეტყობინებას მეორე მხარეს მისამართის ან სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში.

7.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.6 ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმებისათვის და ამისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება "მყიდველის" მიერ.

7.7 მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.8 მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან ხელშეკრულებიდან ან მისი რომელიმე დებულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყვეტილ უნდა იქნეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას სადაო საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოში მიმართვის გზით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.9 ხელშეკრულება შედგენილია ხუთ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

7.10 ამ ხელშეკრულების ყველა დანართი არის მისი განუყოფელი ნაწილი. დანართები ქართულ ენაზეა.

დანართების ჩამონათვალი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 27 ივნისის N156 ბრძანება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 27 ივნისის N165 ბრძანება.

3. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან NN20.51.01.004; 20.51.01.070; 20.51.02.058; 20.42.03.282.

4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "Golf Development Georgia"-ს შესახებ.

5. შპს "Golf Development Georgia"-ს პარტნიორთა კრების ოქმი.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, კომახიძის ქუჩა №119, ქ. ბათუმი, საქართველო.

მყიდველი: შპს "Golf Development Georgia" (იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ჰაიდარ
აბაშიძის ქ. N5, ბინა 42, ს/კ 445410993).

მხარეთა ხელმოწერები,

გამყიდველისგან:

გულა ცინცაძე

_____ გულა ცინცაძე

მყიდველისგან:

გიორგი აბაშიძე

_____ გიორგი აბაშიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120673191



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

27.06.2012 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ხათუნა კალანდარიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

27-73-43

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26737475316612



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოთრმეტი წლის ოცდაშვიდ ივნისს,

მე, ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. ბათუმში, ნოე ჟორდანიას ქ. #12-ში, ვამოწმებ ჩემს სანოტარო ბიუროში გამოცხადებულ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ხელმომწერი პირების: გელა ცინცაძის (დაბ. 01.01.1986წ. მცხ. ხელვაჩაური, ს. მახვილაური) და გიორგი აბაშიძის (დაბ. 22.10.1980წ. ქ. ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ. 5, ბინა 42) ხელმოწერის ნამდვილობას მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე, რომელზედაც ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერ პირთა მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერი პირების პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ხოლო ქმედუნარიანობა შემოწმებულია, რომელშიც ექვსის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე, ნოტარიუსი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ რომ, ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, უფლებამოსილებას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე.

დამოწმებულია ათი (10) ხელწერის ნამდვილობა, ხუთი (5) ეგზემპლარად და შესაბამისად გადახდილია სახელური 20.00 ლარი. თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და სანოტარო მოქმედების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, მათი გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება #507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღე თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 3.60 ლარი ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39 მუხლისა.

ნოტარიუსი

ხ. კალანდარიშვილი



Handwritten signature and date: 01/02/2013.

განსახილველად და განხილვის
ძირსმდებარე 8-6

გთხოვთ გაუგებრობის
შპს „Golf Development Georgia“-ს
დირექტორის პატივსაცემად ად. ჯიბაძე

გ ა ნ ი ს ბ ა დ ე რ ა ტ

გთხოვნიყვნით, რომ ჩვენს მიერ ხელმოწერულ
და ნაყიბს ვადიდებულ ვინ ვადიდებ
ლობი, და განხილვის ვადიდებ ხელმოწერულ
8-2013 წლის 1 ანგარიშობა.

დ. 02.2013 წ.



გთხოვთ ად-ჯიბაძე

საქართველოს მთავრობის საგარეო ურთიერთობების მინისტროს განყოფილება
საგარეო ურთიერთობების მინისტროს განყოფილება
833 - 01 02 13
საგარეო ურთიერთობების მინისტროს განყოფილება



ბათუმი

"04" იანვარი 2013 წ.

ბრძანება № 28

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა
და შპს "Golf Development Georgia"-ს შორის 2012 წლის 27 ივნისს გაფორმებული
ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 27
ივნისის N156 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად შპს "Golf
Development Georgia"-ს (ს/კ 445410993) საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ჩოლოქის
დასახლებაში მდებარე 525 033 კვმ (ს/კ 20.42.03.282), 721677 კვმ (ს/კ 20.51.02.058), 1672526
კვმ (ს/კ 20.51.01.070) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და
ქობულეთის მუნიციპალიტეტის, მდ. ოჩხაშურის მიმდებარე 130 764 კვმ არასასოფლო
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.51.01.004). აღნიშნული ბრძანების
შესრულების მიზნით, 2012 წლის 27 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "Golf Development Georgia"-ს შორის
გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N120673191 სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი N26737475316612).

ნასყიდობის ხელშეკრულების 3.2-ე პუნქტის შესაბამისად, მყიდველი ვალდებულია:

- ა) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ნასყიდობის ფასი და მოაწოდოს გამყიდველს
აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს და 12 თვის ვადაში
დაასრულოს არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საწვრთნელი გოლფის
მოედნის მშენებლობა;
- გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში დაიწყოს და 18 თვის ვადაში
დაასრულოს არანაკლებ 40 ჰა მიწის ნაკვეთზე 9 ლუნკიანი საჯარო გოლფის მოედნის
მშენებლობა;



დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 4 ჰა მიწის ნაკვეთზე ფეხბურთის საწვრთნელი ბაზის მშენებლობა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაასრულოს ერთი სტადიონის მშენებლობა, ხოლო 24 თვის ვადაში დაასრულოს მთლიანი კომპლექსი (არანაკლებ 4 სტადიონი);

ე) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 2 ჰა მიწის ნაკვეთზე ჩოგბურთის მოედნის მშენებლობა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაასრულოს ერთი მოედნის (კორტის) მშენებლობა, ხოლო 24 თვის ვადაში დაასრულოს მთლიანი კომპლექსი (არანაკლებ 6 ერთეული კორტი);

ვ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 84 ჰა მიწის ნაკვეთზე საჩემპიონო 18 ლუნჯიანი გოლფის მოედნის მშენებლობა და 36 თვის ვადაში დაასრულოს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გოლფ-კლუბის შენობის მშენებლობა;

თ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე 1000 ადგილიანი საკონფერენციო დარბაზის მშენებლობა;

ი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში დაიწყოს და 36 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 3 ჰა მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 50 ნომრიანი ვილის ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა;

კ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაიწყოს და 30 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 10 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 300 ნომრიანი, არანაკლებ 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა; სასტუმრო კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მუდმივად 10 წლის ვადით, დაასაქმოს არანაკლებ საქართველოს 40 მოქალაქე;

ლ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში დაიწყოს და 24 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 8 ჰა მიწის ნაკვეთზე, არანაკლებ 200 ადგილიანი თანამედროვე ტიპის 2 რესტორნისა და გასართობი კომპლექსის მშენებლობა;

მყიდველის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები სამუშაოს დაწყებასთან დაკავშირებით გარდა ხელშეკრულების 3.2. პუნქტის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა (აღნიშნული ქვეპუნქტების შესრულებისათვის წარმოდგენილ იქნა აუდიტორული დასკვნა) არ არის შესრულებული.

2012 წლის 27 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „Golf Development Georgia“-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის

ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე ხელშეკრულების 3.2. პუნქტის „გ“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად შპს „Golf Development Georgia“-ს ეკისრება პირგასამტეხლო 2013 წლის 01 თებერვლის ჩათვლით 46 820550 (ორმოცდაექვსი მილიონ რვაასოცი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარი.

2013 წლის 01 თებერვალს სამინისტროში შემოვიდა შპს „Golf Development Georgia“-ს წერილი, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიერ ვერ სრულდება ნასყიდობის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, რის გამოც ითხოვს მოიშალოს ზემოთ აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა მოიშალოს და მყიდველს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო, ხოლო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო რეესტრს უნდა ეთხოვოს გაუქმდეს შპს „Golf Development Georgia“-ის საკუთრება ნასყიდობის ხელშეკრულებაში აღნიშნულ უძრავ ქონებებზე (საკადასტრო კოდი 20.42.03.282, 20.51.02.058, 20.51.01.070, 20.51.01.004) და ქონება აღირიცხოს თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 2012 წლის 27 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „Golf Development Georgia“-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შპს „Golf Development Georgia“-ს დირექტორის 2013 წლის 01 თებერვლის განცხადებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 01 მაისს №44 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის 2-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს (მოიშალოს) 2012 წლის 27 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „Golf Development Georgia“-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N120673191 სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი N26737475316612).

2. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უძრავ

ქონებაზე საკადასტრო კოდით 20.42.03.282, 20.51.02.058, 20.51.01.070, 20.51.01.004 და ქონება აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად.

3. და შპს "Golf Development Georgia"-ს პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით დაეკისროს 46820550 (ორმოცდაექვსი მილიონ რვაასოცი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარი. პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდეს შემდეგ სახაზინო კოდზე 300923287.

4. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების შესაბამისი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ადმინისტრაციული საჩივრით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 01 (ერთი) თვის ვადაში;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

გიორგი თაყარაძე



№ 01-10/530

"5" თებერვალი 2013 წ.

შპს "Golf Development Georgia"-ს დირექტორს

მატონ გიორგი აბაშიძეს

მის. ქლაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N5 ბინა

№42. ს/კ 445410993

მატონ გიორგი,

გეგზავნებათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "Golf Development Georgia"-ს შორის 2012 წლის 27 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 04 თებერვლის N28 ბრძანების ასლი.

დანართი: „04" ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი

რამაზ კახიძე





გზავნილი - 040002063163

შენიშვნა: აღებულია მხოლოდ 3271559007 61001044785

გამეცხადენო:
ბჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
ბაიონომეტროს ()
გამგზავნის № 119, ბათუმი, საჩხერეთის რაიონის

Քվեման ամսաթիվ: 09.02.2013

სტატუსი: შიდანიღოფი

0.06 33.

გზავნილობის
მნიშვნელობა:

ಪೆರಿವುಟ್ಲಾಂ ಪೂರ್ವ

მომწვევების შემართულება	ქვეყანა	თარიღი
გადასაცემი	შემაჯავრობის გადასაცემა	06 თებ 2013 10:00
გადასაცემი	კურსდამთავრების შედეგად გადასაცემის დროშისათვის 44 27330	06 თებ 2013 14:00

2000

გვთხოვნილია განვიხილო:

ပိယဇ္ဇာသုတ္တံ

[illegible]

09290000

အမည်ပစ္စည်းအမျိုးအမည်

ՅԱՅԵՆԻՆԻ ՏԵԼԵՎԻԶԻՈՆ

உதாரணம்:

சுற்றுச்சூழல் அமைதி நிலப்பரப்பை

1993

செயற்கை நெல்லைப் புவியியல் தாள் எண்:

ပြည်ထောင်စု

ရက်စွဲများ

የሰነድ አቅርቦት

06/02/2013 14:21

0440003762163

ავალიანტის პრეზიდენტის განცხადებით, კომპანია დაეგეგმება, რომ დაიწყო მუშაობა ავსტრალიის სანაოსნო კომპანიაში.

01-10/530

კომპაზიციის ქ. 119, ბათუმში, საქართველო

შპს Golf Development Georgia-ს ფონური ნომერი 445410903

მედიკალი

08/02/2013 12:14

പ്രൊഫ. എസ്. ജി. ജോർജ്ജ്

გთხოვთ აბაძიძე 61001012393 (თვითონ)

စံပြဇာတိကျမ်း:

2.3.2



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013042610 - 04/02/2013 19:12:54

მომზადების თარიღი
05/02/2013 10:57:32

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქობულეთი	ქ. ქობულეთი			ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
20	42	03	282	დამუშავებული ფართობი: 525033,00 კვ.მ.
მისამართი: ქობულეთი, დასახლება ჩოლოქის				ნაკვეთის წინა ნომერი: 20.42.03.280; 20.42.03.281;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013042610 , თარიღი 04/02/2013 19:12:54
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/02/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N28 , დამოწმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- წერილი N01-10/492 , დამოწმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013042619 - 04/02/2013 19:38:47

მომზადების თარიღი
07/02/2013 15:44:07

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქობულეთი	ფიჭვნარი			ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
20	51	02	058	დაზუსტებული ფართობი: 721677.00 კვ.მ.
მისამართი: ქობულეთი, დასახლება ჩოლოქის				ნაკვეთის წინა ნომერი: 20.51.02.056;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013042619 , თარიღი 04/02/2013 19:38:47
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/02/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება , N28 , გაფორმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- წერილი , N01-10/492 , გაფორმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013042621 - 04/02/2013 19:42:36

მომზადების თარიღი
07/02/2013 15:40:08

საკუთრების განყოფილება

მონა ქობულეთი	სექტორი ფიჭვნარი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1672526.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 20.51.01.069;
20	51	01	070	

მისამართი: ქობულეთი, დასახლება ჩოლოქის

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013042621 . თარიღი 04/02/2013 19:42:36
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/02/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი, N01-10/492, გაფორმების თარიღი: 04/02/2013, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- ბრძანება, N28, გაფორმების თარიღი: 04/02/2013, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013042622 - 04/02/2013 19:44:50მომზადების თარიღი
07/02/2013 15:37:28

საკუთრების განყოფილება

მონა ქონულება	სექტორი ფიჭვნარი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 130764.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
20	51	01	004	

მისამართი: ქობულეთი, მდ. ოჩხამურის მიმდებარედ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013042622 , თარიღი 04/02/2013 19:44:50
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/02/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება, N28 , გაფორმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- წერილი, N01-10/492 , გაფორმების თარიღი: 04/02/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



ამონაწერი მეწარმეთა და
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 483786
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12061389
ამონაწერის მომზადების თარიღი: 05/06/2012 17:02:40

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს Golf Development Georgia
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ., N 5, ბ. 42
ელექტრონული ფოსტა: abashidze-giorgi@yandex.ru
საიდენტიფიკაციო კოდი: 445410993
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 05/06/2012
მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია)

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 61001012393, გიორგი აბაშიძე,
დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
61001012393, გიორგი აბაშიძე,	50.000000000%	445410993-SH-00001
63№9885134. . ედუარდ ბიჭოვი, რუსეთის ფედერაცია,	50.000000000%	445410993-SH-00002

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის
უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: <http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.